## იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ს ი ლ ა ბ უ ს ი

**სასწავლო კურსის დასახელება - სოციალური ფილოსოფია**
**სასწავლო კურსის კოდი - S.1.P. 05**

**ლექტორი -** ირმა შიოშვილი, ასოც. პროფესორი. ფილოსოფიის დოქტორი,. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი. ტელ. 27-09-90; ელ.ფოსტა - irma-giorgi@posta.ge

- **კრედიტების რაოდენობა -** 5 კრედიტი სულ 5x25=125 სთ.

სასწავლო კურსის ხანგრძლივობაა ერთი სემესტრი - 15 კვირა. კვირასი 2 სთ. მათ სორის 30 სთ. არის საკონტაქტო, ხოლო 95 სთ. დამოუკიდებელი მუშაობისათვის. საკონტაქტო საათები განაწილდება შემდეგი განრიგით: 15 სთ სალექციო და 15 სთ სასემინარო.
კვირაში ჩატარდება 2 სთ.

- **სასწავლო კურსის სტატუსი -** სავალდებულო.
- **სასწავლო კურსის მიზნები**

სოციალური ფილოსოფიის, როგორც სოციალურ-ნორმატიული მოძღვრებების დომინანტურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმების დადგენა და არა მისი განხილვა კონკრეტულ რეალობაში. მოცემული სალექციო კურსი აანალიზებს საზოგადოებრივ პრობლემებს, ერთი მხრივ, თეორიული სოციოლოგიის და, მეორე მხრივ, ერთმანეთთან დაკავშირებული დისციპლინების (ანთროპოლოგია, კულტუროლოგია, ფსიქოლოგია) კონტექსტში.

სასწავლო კურსის მიზანია აღწეროს საზოგადოების თვისობრივი თავისებურება, მისი კანონები, სოციალური იდეალები, გენეზისი და განვითარება, ბედი და პერსპექტივები, სოციალური პროცესის ლოგიკა.

- **სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა -** არ აქვს

- **სასწავლო კურსის სწავლის შედეგები**

| | ზოგადი კომპეტენციები | დარგობრივი კომპეტენციები |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ფლობს სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიების, პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სტუდენტი შეიძენს ისეთ ინტელექტუალურ უნარს, რომელიც ადვილად ტრანსფორმირდება სხვა | ფლობს ცოდნას სოციალური პრობლემების, მისი თეორიული გადაწყვეტის გზებით, თეორიებისა და კონცეფციების შესახებ, საზოგადოების კანონების, სოციალური იდეალების, გენეზისის, ბედისა და პერსპექტივების, |

| | | |
|---|---|---|
| | ინტელექტუალურ კონტექსტში | სოციალური პროცესის ლოგიკის შესახებ. ამასთან სტუდენტები აცნობიერებენ ფილოსოფიასა და სოციალური მეცნიერებების ძირითად დარგებს შორის კავშირს, სხვადასხვა ფილოსოფიური ტექსტების ინტერპრეტიპების მნიშვნელობას. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია აზრის სიზუსტის მიღწევა და მისი ადეკვატური გამოყენება. აქვს კონკრეტულიდან ზოგადზე გადასვლის უნარი. შეუძლია წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკული შეფასება, სხვადასხვა დროის და ტრადიციის ტექსტების აღქმა. | აქვს შესაძლებლობა გამოიმუშაოს მსოფლმხედველობრივი პოზიცია სამყაროს მიმართ, რომელშიც იგი ცხოვრობს. დაეუფლა იმ ცნებით აპარატს, რომელიც აუცილებელია მოცემული მასალის ანალიზისათვის და კრიტიკული ანალიზისათვის. |
| დასკვნის უნარი | შეუძლია ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება, აბსტრაქტული მონაცემების და კონცეფციების გამოყენება დასკვნების გასაკეთებლად. | სხვადასხვა მეცნიერული მეთოდების მეშვეობით შეუძლია კონკრეტული სოციალური ხასიათის დასკვნების გაკეთება. |
| კომუნიკაციის უნარი | აქვს კომუნიკაციის, მკაფიოდ და ეფექტურად სელექციის უნარი, როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი ფორმით, ინფორმაციის სრული, მთლიანი ჩონჩხის ჩამოყალიბების უნარი. | შეუძლია ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მომზადება საგნის ნებისმიერ საკითხზე. |
| სწავლის უნარი | უკეთესად შეუძლია სწავლის პროცესის მართვა, საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა, საკუთარი თავის მოტივირება. | საზოგადოების თვისობრივი თავისებურებების, მისი კანონების, სოციალური იდეალების, ბედისა და პერსპექტივების შესწავლა უვითარებს სტუდენტს სწავლის უნარს და აღძრავს შინაგან სტიმულს სოციალურ სფეროში მუშაობისათვის. |
| ღირებულებები | შეუძლია ღირებულებით ორიენტაციებში გარკვევა, თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება ღირებულებებისადმი, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. | ითვალისწინებს და პატივს სცემს სოციალური ფილოსოფიის ყველა მიმდინარეობას, მათ დამოკიდებულებას სხვადასხვა ღირებულებებისადმი, რის შედეგადაც უყალიბდება საკუთარი სოციალურ-ფილოსოფიური ღირებულებების სისტემა, იმის ცოდნა, თუ რა არის სიკეთე, მოვალეობა და ა.შ. |

- **სასწავლო კურსის შინაარსი:**

**თემა # 1. კვირა #1.**

სოციალური ფილოსოფია, კვლევის ობიექტი და ამოცანები.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

***სავალდებულო ლიტერატურა:***

kუკანია,ა.,კუკანია,ვ.,(2004).*ფილოსოფიის საკითხები.* თბილისი: ზეკარი. gv. 100-102.

***დამატებითი ლიტერატურა:***

Философский словарь,(2003),meore gamocema.Москва:Прогресс.стр.417-418.

**თემა #2. კვირა #2.**

კულტურის ზოგადი დახასიათება. კულტურის ფუნქციები

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

*სავალდებულო ლიტერატურა:*

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 196-206.

რამიშვილი ვალერიანი,(2010).*ფილოსოფია.*თბილისი:მერიდიანი.გვ.255-263

*დამატებითი ლიტერატურა:*

ქერქაძე, დ. (1984). *ერი და კულტურა.* თბილისი: მეცნიერება. გვ. 3-24.

**თემა #3. კვირა #3**

რა არის საზოგადოება. საზოგადოებრივი ცვლილებები.

ლექცია 1 სთ. ზეპირი გამოკითხვა 1 სთ.

*სავალდებულო ლიტერატურა:*

რამიშვილი ვალერიანი,
(2010).*ფილოსოფია.*თბილისი:მერიდიანი.გვ.131-143

**თემა #4. კვირა #4.**

საზოგადოების ტიპები

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

რამიშვილი ვალერიანი,(2010).*ფილოსოფია.*თბილისი:მერიდიანი.
გვ.143-147

**თემა #5. კვირა #5.**

საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 215-223.

**თემა #6. კვირა #6.**

საზოგადოების სოციალური სტრუქტურა

ლექცია 1 სთ. ზეპირი გამოკითხვა 1 სთ.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 223-228.

**დამატებითი ლიტერატურა:**

Неил, Смелзер. (1994) *Социология.* М: ст. 70-94.

**თემა #7. კვირა #7.**

საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურა. სახელმწიფო, მისი
ფუმქციები.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 228-237.

**დამატებითი ლტერატურა:**

Масионис, Дж. (2004) *Социология.* М: ст. 541-551.

**თემა #8. კვირა #8.**

სამოქალაქო საზოგადოება.

ლექცია 1 სთ. შუალედური wera 1sT.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 237-246.

რამიშვილი ვალერიანი,(2010).*ფილოსოფია.*თბილისი:მერიდიანი. გვ.147-
150

თემა #9. კვირა #9.

სამართლებრივი და არასამართლებრივი სახელმწიფო.

ლექცია 1 სთ. ზეპირი გამოკითხვა 1 სთ.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 247-250.

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. Масионис, Дж. (2004) *Социология.* М: ст. 544-551.

2, Смелзер, Неил (1994) *Социология.* М: ст. 532-540.

თემა #10. კვირა #10.

ტექნიკური რევოლუცია და მისი შედეგები.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 282-292.

**დამატებითი ლიტერატურა:**

Масионис, Дж. (2004) *Социология.* М: ст. 139-149.

თემა #11. კვირა #11.

ერი და ეროვნული ურთიერთობანი.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 262-272.

**დამატებითი ლიტერატურა:**

დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი:

მეცნიერება გვ. 10-40.

თემა #12. კვირა #12.

ეკოლოგიური პრობლემა.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 295-299.

**დამატებითი ლიტერატურა:**

Дажо, Д. (1974) *Основы экологии.* М: Прогрес. ст. 21-31.

თემა #13. კვირა #13.

მასისა და პიროვნების პრობლემა.

ლექცია 1 სთ. ზეპირი გამოკითხვა 1 სთ.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 272-282.

**დამატებითი ლიტერატურა:**

გასეტი, ხ. ო. *Mmasebis amboxi.* (1993). თბილისი: ხომლი. გვ. 3-20.

თემა #14. კვირა #14.

პოლიტიკა, სამართალი და ზნეობა.

ლექცია 1 სთ. შუალედური წერა 1 სთ.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 246-260.

**დამატებითი ლიტერატურა:**

კოდუა, ე. (1996). *სოციოლოგიის ისტორია* (II), თბილისი: თსუ გვ. 3-18.

### თემა #15. კვირა #15.

განვლილი თემების ზოგადი მიმოხილვა - 2 სთ.

- **სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, პრეზენტაცია, შუალედური წერა, ზეპირი გამოკითხვები, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, ტექსტის ანალიზი, თვითშეფასება, სხვათა ნაშრომების შეფასება.

- **სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით:

| | | |
|---|---|---|
| 91-100 % | A | ფრიადი |
| 81-90 % | B | ძალიან კარგი |
| 71-80 % | C | კარგი |
| 61-70 % | D | დამაკმაყოფილებელი |
| 51-60 % | E | საკმარისი |
| 41-50 % | FX | არასაკმარისი(სტუდენტს ეძლევა განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება) |
| 0-40 % | F | ჩაიჭრა(სტუდენტმა საგანი ახლიდან უნდა გაიაროს) |

შეფასების კრიტერიუმები: სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა.

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი ფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით, თითოეულ მათგანს ენიჭება მაქს. 15 ქულა.თითოეულ შუალედურ წერაში შევა ორი თეორიული საკითხი და ერთი

პრაქტიკული ამოცანა ან სავარჯიშო.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი ფასდება ოთხჯერადად, ზეპირი გამოკითხვით, სადაც თითოეულ გამოკითხვას ენიჭება 5 ქულა.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით. სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან

სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შევა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მან თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, კომბინირებული სახით (ტესტები, თეორიული მასალა), ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილავენ სტუდენტის ნაწერს. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს იგი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი იქნება არა ნაკლებ 10 დღისა.

- **სავალდებულო ლიტერატურა**:


1. ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი.
2. კუკანია,ა., კუკანია,ვ., (2004).*ფილოსოფიის საკითხები.* თბილისი: ზეკარი
3. რამიშვილი ვალერიანი,(2010).*ფილოსოფია.*თბილისი:მერიდიანი.


- **დამატებითი ლიტერატურა:**


1. ქერქაძე, დ. (1984). *ერი და კულტურა.* თბილისი: მეცნიერება
2. Бокль. (1896) *История цивилизации в Англии.* С-П:

3. Неил, Смелзер. (1994) *Социология.* М:
4. Масионис, Дж. (2004) *Социология.* (mTargmnelები Замчук , З.და სხვები),Москва:Питер.
5. დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: მეცნიერება
6. კოდუა, ე. (1996). *სოციოლოგიის ისტორია* (II), თბილისი: თსუ
7. ი გასეტი, ხ. ო. *Mmasebis amboxi.* (1993). თბილისი: ხომლი.
8. Дажо, Д. (1974) *Основы экологии.* М: Прогресс
9. Философский словарь,(2003),meore gamocema.Москва:Прогресс.

P.S. სილაბუსში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, შესაბამის კათედრებზე და ლექტორთა პირად ბიბლიოთეკებში.